ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 73

ქ. თეთრიწყარო 30 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის ბესიკ ნიკლაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეოვეს" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ხიმშიაშვილი სახით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის www.tetritskaro.ge განახლებისა და მისი პროგრამული პაკეტის მომსახურების /48200000-CPV/ შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2100 (ორი ათას ასი) ლარს, დღგ-ს გარეშე. ყოველთვიურად გასაწევი მომსახურების ღირებულება კი – 350 (სამასორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. 2016 წლის 01 ივლისიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა. ვებ-გვერდის რედაქტირების შემდგომ იგი გადავა მუნიციპალიტეტის საკუტრებაში და შესაბამისად გებ-გვერდთან დაკავშირებული ყველა პაროლი (კოდი) გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

3.2. მომსახურება გასწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მის მიერ გაწეული მომსახურებაში აღმოჩენილი ხარვეზ(ებ)ი. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორიელებენ ადმინისტრაციის სამსახური და

3.3 ვებ-გვერდზე www.tetritskaro.gov.ge ატვირთოს (გამოაქვეყნოს) შემსყიდველის მიერ ელექტრონულ ფოსტაზე, dimitri.kvarelashvili@gmail.com მიწოდებული მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურული, სპორტული და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო მასალა, მათი მიწოდებიდან 24 საათში.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

3.4 პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს ვებ-გვერდზე www.tetritskaro.gov.ge ასატვირთი მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურული, სპორტული და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის, ფოტო და ვიდეო მასალის შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე dimitri.kvarelashvili@gmail.com

3.5 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი და ატვირთული (გამოაქვეყნებული) ინფორმაციის სიზუსტე, ხარვეზების ან/და უზუსტობების გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს საკუთარი ხარჯებით მისი დროულად აღმოფხვრა. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორიელებენ გამგეობის ადმინისტრაციის სამსახური და PR-ისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

3.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ ჩაურიცხოს მას საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და გაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

5.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

6.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

6.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

6.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

6.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 6.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

6.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. ფორს - მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. გადასახადები და დაბეგვრა

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 01 ივლისიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

13. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ №34

ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

„მომწოდებელი“:

შპს „ჯეოვებს“
იურიდიული მის: ქ. თელავი, შ. რუსთაველის გამზ. N27

ს/კოდი: 431172269
ა/ა GE64BG0000000863065500
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი BAGAGE22

14. მხარეთა ხელმოწერები:

ბესიკ წიკლაური
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ნინო [illegible]შვილი
შპს „ჯეოვებს“-ის დირექტორი

შესყიდვების განყოფილების უფროსი
ვეფხია მესტვირიშვილი